



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე



ბრძანება:ბ49.49220331

თარიღი:02/02/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დოკუმენტების
შემფასებელი მუდმივმოქმედი ექსპერტიზის კომისიის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, „ დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის #174 ბრძანებისა და „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანების 55-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარებისა და საქმეთა შესაბამის არქივში გადასაცემად მომზადების მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გელა თათარაშვილი - საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, **კომისიის თავმჯდომარე.**

ალექსანდრე დადუნაშვილი - საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.**

ქეთევან კირტავა - საორგანიზაციო ,საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, **კომისიის მდივანი.**

ტარიელ ჭვიშვილი - ლოჯისტიკის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, **წევრი.**

მაია ბერაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, **წევრი.**

ირინა ჩაკვეტაძე - საინფორმაციო, ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, **წევრი.**

2. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 მარტის № 43 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი, კუპრადის ქ.#11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

